

ნაკერზჲალი შეიძლება
ხანძრად იქცეს *

(1930 წლის 5 იანვარი)

* წერილი, რომელიც დაწერილია ამზანავ მათ ძე-დუნის
შეკრისტიანიზაციის დროს პარტიაში არსებული ზოგიერთი პესიმისტუ-
რი განცყობილების კრიტიკის მიზნით.

ჩვენი ამხანაგ კომუნისტების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არასავსებით სწორად აფასებს თანამედროვე ვითარებას და არასავსებით სწორად ესმის მისგან გამომდინარე ჩვენი მოქმედების ხაზი. მათ სწამთ რევოლუციური ოღმავლობის აუცილებელი დაწყება, მაგრამ არ სწამთ, რომ ის შეიძლება დაიწყოს ჩქარა. ამიტომ ისინი არ იწონებენ ძიანსის პროგნოზის დაპყრობის გეგმას და თანხმდებიან მხოლოდ მფრინავ პარტიზანულ მოქმედებაზე ფუძიანის, გუანდუნის და ძიანსის პროვინციების საზღვრის სამ რაიონში. ამასთან ერთად მათ არა აქვთ პარტიზანულ რაიონებში წითელი ხელისუფლების შექმნის აუცილებლობის ღრმა რწმენა. ამიტომ ისინი აგრეთვე ღრმად დარწმუნებული არ არიან მთელ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური ოღმავლობის დაწყების დაჩქარების აუცილებლობაში წითელი ხელისუფლების განმტკიცებისა და მისი ტერიტორიის გაფართოების გზით. მათ, ალბათ, მიაჩნიათ, რომ იმ დროს, როცა რევოლუციური აღმავლობა ჯერ კიდევ შორსაა, ფუჭი იქნებოდა ხელისუფლების შექმნისათვის ამ უაღრესად მძიმე მუშაობის ჩატარება; ისინი ვარაუდობენ თავდაპირველად გავაფართოოთ ჩვენი პოლიტიკური გავლენა საამისოდ უფრო იოლი საშუალების — მფრინავი პარტიზანული მოქმედების გამოყენებით; ხოლო როცა, მათი თქმით, მუშაობა მასების დაპყრობისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით მთლიანად ან გარკვეული მოცულობით დამთავრდება — მოვაწყოთ მთელ ჩინეთში

შეიარაღებული აჯანყება და მაშინ სასწორზე შევაგდოთ წითელი არმიის ძალები, რასაც შედეგად მოჰყვება დიდი რევოლუცია, რომელიც მოიცავს მთელ ქვეყანას.

ეს მათი თეორია მთელ ჩვენს ქვეყანაში (ესე იგი მის ყველა კუთხეში) მასების წინასწარ დაპყრობისა და მხოლოდ ამის შემდეგ ახალი ხელისუფლების დამყარების აუცილებლობის შესახებ არ უპასუხებს ნამდვილ პირობებს, რომლებშიც ვითარდება ჩინეთის რევოლუცია. ამ თეორიის წყაროს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს იმის გაუგებლობა, რომ ჩინეთი ნახევრადკოლონიური ქვეყანა, რომლისთვისაც ურთიერთშორის იბრძვიან მთელი რიგი იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამავე დროს საკმარი მხოლოდ გაიგო, რომ ჩინეთი ნახევრადკოლონიური ქვეყანა, რომლისთვისაც ურთიერთშორის ბრძოლას ეწევა მრავალი იმპერიალისტური სახელმწიფო, და მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება: 1) ნათელი გახდება, რატომა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნებიდან მარტო ჩინეთში არსებობს ასეთი უჩვეულო მოვლენა, როგორიცაა ხანგრძლივი შინაბრძოლა გაბატონებული კლასების ბანაქში; რატომა, რომ ეს შინაბრძოლა დღითიდღე ფართოვდება და მწვავდება; რატომ ჩინეთში არ მოხერხდა და არ ხერხდება ერთიანი ხელისუფლების დამყარება; 2) ნათელი გახდება გლეხობის საკითხის სერიოზულობა და, მაშასადამე, შესაძლებელი იქნება იმის გაგება, თუ რატომა, რომ აჯანყებებმა სოფლად ისეთი ფართო გაქანება პპოვეს, როგორც ახლა, როდესაც მათ მოიცვეს მთელი ქვეყანა; 3) ნათელი გახდება მუშურ-გლეხური დემოკრატიული ხელისუფლების ლიზუნგის სისწორე; 4) გასაგები გახდება მეორე უჩვეულო მოვლენაც, რომელიც წარმოიშვა გაბატონებული კლასების ბანაქში ხანგრძლივ შინაომთან — ამ უჩვეულო მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მარტომდენ ჩინეთში არსებობს, —

სახელდობრ წითელი არმიისა და პარტიზანული რაზმების არსებობა და ზრდა, და აგრეთვე, როგორც ამის თანმხელები, მცირე წითელი რაიონების არსებობა და განვითარება, რომლებიც აღმოცენდნენ თეორი ხელისუფლების ძალა გარე-შოცვაში (მსგავსი უჩვეულო მოვლენა არსად შემჩნეული არია, გარდა ჩინეთისა); 5) ნათელი გახდება აგრეთვე, რომ წითელი არმიის, პარტიზანული რაზმებისა და წითელი რაიონების შექმნა და ზრდა წარმოადგენს ნახევრადკოლონიურ ჩინეთში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით გლეხობის ბრძოლის უმაღლეს ფორმას, გლეხთა ბრძოლის განვითარების გარდუვალ შედეგს ნახევრადკოლონიურ ქვეყანაში და, ეჭვს გარეშეა, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც აჩქარებს მთელ ქვეყანაში რევოლუციური აღმავლობის დაწყებას; 6) დაბოლოს, ნათელი გახდება, რომ მარტომდენ მორინავი პარტიზანული მოქმედების პოლიტიკას არ შეუძლია გადაჭრის მთელ ქვეყანაში რევოლუციური აღმავლობის დაჩქარების ამოცანა და რომ უეპველად სწორია ჯუ დე — მათ ძე-დუნის პოლიტიკა, ფან ჩი-მინის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს ბაზების შექმნას, ხელისუფლების ორგანოების გეგმაზომიერად ჩამოყალიბებას, აგრარული რევოლუციის გაღრმავებას, ხალხის შეიარაღებულ ძალა ზრდა-განვითარებას წითელი გვარდისა და წითელი არმიის ზრდა-განვითარებას წითელი გვარდისა და წითელი არმიის შექმნის გზით რეგულარული წითელი არმიის შექმნის გზით რეგულარული წითელი გვარდისა და წითელი არმიის განუხრელ თანსაკენ, წითელი ხელისუფლების რაიონების განუხრელ თანსაკენ, წითელი ხელისუფლების გაფართოებას და ა. შ. მხოლოდ ამნაირად შეიძლება ჩავუნერგოთ მთელი ჩვენი ქვეყნის რევოლუციურად განვითარებას მასებს ისეთივე რწმენა, როგორსაც უნერგოვს საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება შევუქმნათ გაბატონებულ კლასებს უდიდესი დაბრკოლებანი, შევურყიოთ ფეხქვეშ ნიადაგი და დავაჩქაროთ მათი შინაგანი რღვევა. და მხოლოდ ამგვარად

შეიძლება სინამდვილეში წითელი არმიის შექმნა, რომელიც გადაიქცევა მომავალი დიდი რევოლუციის ყველაზე მძლავრ იარაღად. ერთი სიტყვით, მხოლოდ ამგვარად შეიძლება დაგაქქაროთ რევოლუციური აღმავლობა.

ის ამხანაგები, ვინც დაავადებულია ულტრარევოლუციურობით, შეცდომას ჩადიან: ისინი გადაჭარბებით აფასებენ რევოლუციის სუბიექტურ ძალებს² და საქმიანდ ვერ აფასებენ კონტრრევოლუციის ძალებს. ამგვარი შეფასება ძირითადად სუბიექტივისტური მიღობის შედეგია და, ეჭვს გარეშე, შეუძლია დაგვაყენოს პუტჩიზმის გზაზე. მეორე მხრივ, ასევე სწორი არ იქნებოდა დაგვემცირებინა რევოლუციის სუბიექტური ძალები და გაზვიადებით წარმოგვედგინა კონტრრევოლუციის ძალები, რამდენადაც ამგვარი არა-სწორი შეფასება აგრეთვე უთუოდ უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანდა, თუნდაც სხვა სახით. ამიტომ ჩინეთის პოლიტიკური ვითარების შეფასებისას საჭიროა გავთვალისწინოთ შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. თუ ამჟამად ჩინეთის რევოლუციის სუბიექტური ძალები სუსტია, ასევე, მეორე მხრივ, სუსტია რეაქციული გაბატონებული კლასების მთელი ორგანიზაციაც (ხელისუფლება, შეიარაღებული ძალები, პარტიები და ა. შ.), რომელიც დაფუძნებულია ჩინეთის ჩამორჩენილ და არამტკიცე სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე. სწორედ ამით აიხსნება შემდეგი მდგომარეობა: თუმცა ამჟამად რევოლუციის სუბიექტური ძალები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, შესაძლოა, უფრო ძლიერიც არის, ვიდრე ჩინეთის რევოლუციის სუბიექტური ძალები, მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში რეაქციული გაბატონებული კლასების ძალები შევრად ჭარბობენ ჩინეთის რეაქციული გაბატონებული კლასების ძალებს, რევოლუცია დასავლეთ ევროპაში დაუყოვნებლივ ვერ ითვეთქებს. და თუმცა ჩინეთის რევოლუციის სუბიექტური ძალები ამჟამად სუსტია, მაინც რამდენა-

დაც კონტრრევოლუციის ძალებიც აგრეთვე შედარებით სუსტია, რევოლუციის აღმავლობა ჩინეთში, უთუოდ, დაიწყება უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

2. 1927 წელს რევოლუციის დამარცხების შემდეგ რევოლუციის სუბიექტური ძალები მართლაც ძლიერ შესუსტდა. დარჩენილი ძალების სიმცირემ, თუ მათზე ვიმსჯელებთ მარტოოდენ ზოგიერთი გარეგნული გამოვლინების მიხედვით, ცხადია, შეიძლება გამოიწვიოს ამხანაგებში (რომელიც საკითხს სწორედ ასე უდგებიან) პესიმისტური განწყობილება. თუკი საკითხს არსებითად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ საქმე სულ სხვანაირად გამოიყურება. აქ სავსებით გამოდგება ძველი ჩინური ანდაზა: «ნაპერწელი შეიძლება ხანძრად იქცეს». ეს ნიშნავს, რომ თუმცა ახლა რევოლუციის ძალები დიდი არაა, მაგრამ მათი განვითარება უაღრესად სწრაფად წარიმართება. ჩინეთის პირობებში ამ ძალების ზრდა არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცა; ეს სავსებით მტკიცდება 1925 წლის 30 მაისის მოძრაობისა და მისი მომდევნო დიდი რევოლუციის გამოცდილებით. ყოველგვარ საკითხს უნდა მივუდგეთ მისი არსის თვალსაზრისით, ხოლო გარეგნული გამოვლინება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ნიშანსვეტი, რომელიც გზას გვიჩვენებს ზღურბლისაკენ, რომლის გადაბიჯებითაც ჩვენ ჩავწვდებით საკითხის არსს. ასეთია მოვლენების ანალიზის ერთადერთი საიმედო მეცნიერული მეთოდი.

3. ეს დებულება თვის სისტორიეს ინარჩუნებს კონტრრევოლუციის ძალების შეფასების ღროსაც: უნდა განვიხილოთ მათი არსი, და არამც და არამც მარტოოდენ გარეგნული გამოვლინებანი. როცა ჩვენ ის-იყო დავიწყეთ რევოლუციური ბაზის შექმნა ხუნანისა და ძიანის საზღვარზე, ზოგიერთმა ამხანაგმა სერიოზულად დაიჯერა და გაიზიარა პარტიის ხუნანის მაშინდელი პროვინციული კომიტეტის მიერ მოცემული არასწორი შეფასება და აინუნშიაც არ აგ-

დებდა კლასობრივ მტერს; ჩვენში დღემდე კიდევ ღიმილით იგონებენ ეპიტეტებს «ასპროცენტიანი მოშლილობა» და «სრული პანიკა», რომელთაც პარტიის ხუნანის პროვინციული კომიტეტი იმ დროს (1928 წლის მაისი — ივნისი), ხელალებით ხმარობდა ხუნანის პროვინციის მმართველის ლუდი-პინის³ ძალების შეფასებისას. პოლიტიკაში ამნაირ შეფასებებს უთუოდ მოსდევს პუტჩიზმი. მაგრამ უკვე 1928 წლის ნოემბრიდან 1929 წ. ოქტომბერის განვლილ პერიოდში, როცა მოწინააღმდეგ თავისი მესამე «სადამსჯელო ექსპედიციის» დროს⁴ ძინგანშანს უახლოვდებოდა (ხოლო ომი ჩან კაი-შისა და გუანსის ხროვას შორის ჯერ კიდევ არ გაჩაღებულიყო⁵), ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ეჭვს გამოთქვამდა: «შევძლებთ კიდევ დიდხანს წითელი დროშის შენარჩუნებას?» ფაქტიურად ამ პერიოდში ბრძოლამ ინგლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის ჩინეთში უკვე სავსებით აშკარა ფორმა მიიღო და მწიფლებოდა ომი ჩან კაი-შისა, გუანსის ხროვასა და ფინ იუი-სიანს შორის. არსებითად ეს იყო კონტრევოლუციის დასუსტებისა და რევოლუციის ახალი აღმავლობის დასაწყისი. და მიუხედავად ამისა მაშინ პესიმისტური განწყობილება არსებობდა არა მარტო წითელ არმიასა და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც კი, რომელიც იმ პერიოდში ცდებოდა მოვლენების გარეგანი მხარეების გამო და რომლის გამოთქმებში უიმედობა გამოსჭვიოდა. ამის დამატებიცებელ საბუთს წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის ოქტომბერის წერილი⁶. ამ წერილში ასახულია ვითარების პესიმისტური შეფასება, რომელიც მაშინ პარტიაში არსებობდა.

4. ახლანდელ ობიექტურ ვითარებას ჯერ კიდევ ადვილად შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ის ამხანაგები, რომელიც მოვლენის მხოლოდ გარეგან მხარეს იხილავენ და ვერ წვდებიან მის არს. განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენს

ადამიანებს, რომლებიც წითელ არმიაში მუშაობენ: საკმარისია რომელიმე ნაწილმა ბრძოლაში მარცხი განიცადოს, გარემოცვაში მოექცეს ანდა ძლიერი მოწინააღმდეგის მიერ დევნილი აღმოჩნდეს, რომ ასეთი ამხანაგები, ხშირად თავისდა შეუმჩნევლად, იწყებენ მოკლე დროით შექმნილი სპეციფიკური ადგილობრივი ვითარების განზოგადებას და მისი მნიშვნელობის გაზიადებას, თითქოს მდგომარეობა მთელ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში არაფერს კარგს არ გვიძების, ხოლო რევოლუციის გამარჯვების პერსპექტივამ ძლიერ შორს გადაიწია და ბურუსში მოექცა. ასეთი ზერელე შეფასება, რომელიც მხედველობაში ღებულობს მოვლენის მხოლოდ გარეგან მხარეს და უგულებელყოფს მის არს, იმით აიხსნება, რომ ამ ამხანაგებმა ვერ გაუკეთეს მეცნიერული ანალიზი მთლიანად ვითარებას. ამავე დროს, იმისათვის, რათა ამოვიცნოთ, მალე დაიწყება თუ არა ჩინეთში რევოლუციის აღმავლობა, არის მარტო ერთი ხერხი: საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ ვითარება და ჩავუკვირდეთ, იზრდებიან თუ არა სინამდვილეში სხვადასხვა წინააღმდეგობანი, რომლებსაც რევოლუციის აღმავლობისაკენ მივყავართ. რამდენადაც საერთაშორისო ასპარეზზე იზრდებიან წინააღმდეგობანი სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიებს შორის, იმპერიალისტებსა და პროლეტარიატს შორის მათს ქვეყნებში, იმდენად ჩინეთისათვის ბრძოლის საჭიროება იმპერიალისტებისათვის სულ უფრო მწვავე ხდება. ხოლო როგორც კი მწვავდება იმპერიალისტების ბრძოლა ჩინეთისათვის, თვითონ ჩინეთში იზრდებიან წინააღმდეგობანი იმპერიალიზმსა და ჩინეთს შორის მთლიანად და წინააღმდეგობანი ცალკეულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, რაც წარმოშობს შინაომს ჩინეთის გაბატონებულ რეაქციულ ძალთა სხვადასხვა და ჯგუფებებს შორის. ეს ომი დღითიდღე ფართოვდება და მწვავდება, ესე იგი იწვევს წინააღმდეგობრების და მწვავდებას, ესე იგი იწვევს წინააღმდე

გობათა შემდგომ გამწვავებას ამ დაჯგუფებათა შორის. გაბატონებულ რეაქციულ ძალთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებას, რომელიც გამოხატულებას პოულობს მილიტარისტთა შინაომში, მოაქვს საგადასახადო ტვირთის ზრდა. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს წინააღმდეგობათა შემდგომ ზრდას გადასახადის გადამხდელთა ფართო მასებსა და რეაქციულ მმართველ წრებს შორის.

წინააღმდეგობას იმპერიალიზმსა და ჩინეთის ნაციონალურ მრეწველობას შორის იქითკენ მივყავართ, რომ ჩინეთის ნაციონალურ მრეწველობას არ ძალუდს დაითანხმოს იმპერიალიზმი, რომ წავიდეს დათმობაზე; ამის გამო ღრმავდება წინააღმდეგობა ჩინეთის ბურუუაზიასა და ჩინეთის მუშათა კლასს შორის, რამდენადაც ჩინეთის კაპიტალისტები გამოსავალს მუშათა ულმობელ ექსპლოატაციაში ეძებენ, ხოლო ჩინეთის მუშები წინააღმდეგობას უწევენ ამას. საქონლის შემოჭრას იმპერიალისტური კვეყნებიდან, ჩინეთის საგაჭრო კაპიტალის მძარცველურ მოქმედებას, გადასახადების ზრდას და ა. შ. თან სდევს მემამულეთა კლასსა და გლეხობას შორის წინააღმდეგობათა შემდგომი გაღრმავება, ესე იგი გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერება საიჯარო ქირის და მევახშური სესხის პროცენტის გადიდების გზით; ხოლო ეს კიდევ უფრო აძლიერებს გლეხების სიძულვილს მემამულებისადმი. ბაზრის ავსება საზღვარგარეთული საქონლით, მუშათა და გლეხთა ფართო მასების მსყიდველობით უნარიანობის გამოფიტვა და გადასახადების ზრდა სულ უფრო აჩანაგებს ვაჭრებს, რომლებიც სამამულო საქონლით ვაჭრობენ, და წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებლებს. არმიის უსაზღვროდ გადიდება, რომელსაც ატარებს რეაქციული მთავრობა სურსათ-სანოვაგისა და ფულის ნაკლებობის პირობებში, და ამის შედეგად გახშირებული შინაომები ჯარისკაცთა ფართო მასებს მუდმივს მძიმე გაჭირვებაში აღდებს. გადასახადების ზრდა, მემამულების მიერ საიჯარო

ქირის და სესხის პროცენტის გადიდება, და იგრეთვე ომით გამოწვეული ყოველდღიურად მზარდი გაჭირვება წარმოშობს მთელ ქვეყანაში შიმშილობასა და ბანდიტიზმს, რის შედეგადაც გლეხობისა და ქალაქის დარიბთა ფართო მასები გამოუვალ მდგომარეობაში ექცევაან. სკოლების შესანახისასრების უქონლობა ბევრი მოსწავლისათვის განათლების გარეშე დარჩენის საშიშროებას ქმნის, ხოლო წარმოების ჩამორჩენილობა სამუშაოს შოვნის იმედს უკარგავს ბევრ ადამიანს, რომელსაც მიღებული აქვს განათლება.

ყველა აღნიშნული წინააღმდეგობის შეცნობით შეიძლება დარწმუნდეთ მასში, თუ რამდენად ქაოსურია ვითარება, რამდენად საგანგაშოა მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ჩინეთი; და ეს საშუალებას გვაძლევს შევიგნოთ, რომ იმპერიალიზმის, მილიტარისტებისა და მემამულების წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის აღმავლობა გარდუვალია და რომ ის მაღლ უნდა დაიწყოს. მთელი ჩინეთი საესეა საწვავი მასალით, რომელიც ძლიერ მაღლ უნდა აინთოს. «ნაპერწყალი შეიძლება ხანძრად იქცეს» — აი ანდაზა, რომელიც ზუსტად ახასიათებს თანამედროვე ვითარებას. საკმარისია თვალი გადავავლოთ მუშათა გაფიცვებს, გლეხთა აჯანყებებს, ჯარისკაცთა ამბოხებებს, სტუდენტთა გაფიცვებს, რომლებიც მრავალ ადგილს ფართოვდება, რათა გავიგოთ, რომ «ნაპერწყლიდან» «ხანძრამდე», ეჭვს გარეშეა, დიდი მანძილი აღარაა.

ზემოთ გადმოცემულ ძირითად აზრებს უკვე შეიცავდა გისული წლის 5 აპრილს ცენტრალური კომიტეტის სახელშე გაგზავნილი საფრთხო კომიტეტის წერილი. ამ წერილში ნათქვამი იყო:

«თავის წერილში (9 თებერვლის თარიღით) ცენტრალურმა კომიტეტმა მოვცე ძალზე პესიმისტური შეფასება იბიექტური ვითარებისა და სუბჟიქტურ ძალთა მდგომარეობისა. ძინგანშინის წინააღმდეგ გომინდანის მარტ გაგზავნილი მესამე «სადამსჯელო ექსპედიცია» წარმოადგენდა კონტრ-

რევოლუციის უდიდესი აღმავლობის გამოხატულებას. მაგრამ ეს იყო ზღვარი, რომლის შემდეგაც იწყება კონტრრევოლუციის თანდათანმიმდინდებულება და რევოლუციის თანდათანმიმდინდებულება აღმავლობა. მართალია, პარტიის საბრძოლო და ორგანიზაციული ძალები შესუსტდნენ, როგორც ამას აღნიშნავს ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ მაინც კონტრრევოლუციის თანდათანმიმდინდებულების პირობებში მათი აღდგენა, რასაც ვირცელია, ძალიან სწრაფად მოხდება და პარტიული კადრების პასიურობა შესაძლებელია ჩქარა იქნას ლიკვიდირებული. მასები უმჭველად ჩვენ წამოგვყებიან. სისტემიან ანგარიშგასწორების მეთოდი⁷ სხვას არას მოასწოვებს, თუ არა «თევზის იქ გადაგდებას, სადაც წყალი უფრო ღრმაა»; რეფორმიზმს აგრეთვე აღარ ძალუს მასების მიმხრობა. მასების ილუზიები გამოინდანის მიმართ უთუოდ ძლიერ სწრაფად გაიფარება. შექმნილ პირობებში არც ერთ პარტიას არ ძალუს გაუწიოს მეტოქეობა კომუნისტურ პარტიის მასებისათვის ბრძოლაში. პარტიის VI ყრილობის⁸ მიერ დასახული პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი სწორია: თანამდებროვე ერავზე რევოლუცია არის დემოკრატიული და არა სოციალისტური; მოცემულ მომენტში პარტიის ამოცანა (საჭირო იყო დაგვემატებინა: «დიდ ქალაქებში») მდგომარეობს მასებისათვის ბრძოლაში და არა აჯანყების დაუყოვნებლივ მოქანდაში. მაგრამ რევოლუცია ძლიერ სწრაფად განვითარდება, და შეიარაღებული აჯანყების პროცესისა და მომზადების საქმეში ჩვენ უნდა გვეჭიროს იქტიური პოზიცია. სრული ქაოსის ახლანდელ ვითარებაში მასების ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ საბრძოლო ლოგიზმუნგებისა და იქტიური მოქმედების დახმარებით, და აქტიური პოზიციის დაჭრით. პარტიის საბრძოლო ძალების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ასეთი აქტიური პოზიციის პირობით... რევოლუციის გამარჯვების ერთადერთ პირობას წარმოადგენს პიროლეტარული ხელმძღვანელობა. პარტიის პიროლეტარული ბაზის შექმნა, უჯრედების მოქანდა საქალაქო ცენტრების წარმოებაში — ასეთია ახლა პარტიის ორგანიზაციულ ამოცანათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა; მაგრამ ამავე დროს ბრძოლის გაჩაღება სოფლიდ, წითელი ხელისუფლების შექმნა პატარა რაიონებში, წითელი არმიის შექმნა და მისი რიგების გაფართოება წარმოადგენს მთავარ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ქალაქებში ბრძოლას და აჩქარებს რევოლუციის აღმავლობას. ამიტომ ქალაქებში ბრძოლაზე უარის თქმა შეცდომას წარმოადგენს; მაგრამ ჩვენ შეცდომად ჩავთვლიდით აგრეთვე თავშეეავებას, გლეხთა მოძრაობის გაჩაღების საქმეში იმის შიშით (თუ ასეთი შიში არსებობს პარტიის წევრთა შორის), რომ გლეხობის სწრაფად მზარდება მოძრაობამ არ დაჩრდილოს მეშთა კლასის ძალები და უარყოფითი გავლენა არ იქნიოს რევოლუციაზე; რევოლუციის მსვლელობაში ნახევრადკოლონიური ჩინეთის პირობებში

შეიძლება მხოლოდ, რომ გლეხების ბრძოლამ დამარცხება განიცალოს მუშაბის მხრით ხელმძღვანელობის უქონლობის გამო, მაგრამ შეუძლებელია არის გლეხობის გაშლილმა ბრძოლამ დაჩრდილოს მუშათა კლასის ძალები და უარყოფითი გავლენა იქნიოს თვით რევოლუციაზე».

კითხვაზე, თუ როგორ ტაქტიკას უნდა ადგეს წითელი არმია, ჩვენ ამ წერილში შემდეგი პასუხი გავეცით:

«ცენტრალური კომიტეტი წინადაღებას იღევა: არ მივცეთ მტერს ღიღი სამიზნოები; დავკით ჯარები წვრილ ნაწილებად; დავაქცეულოთ ისინი სოფლებში; ჯუ დემ და მათ ძე-ღუნმა დატოვონ არმია. ყოველივე მის წინადაღებას ჩვენ გვაძლევენ წითელი არმიის შენარჩუნებისა და მასების მობილიზაციის მიზნით. საკითხის ასეთი დაუყენება საესებით მოწყვეტილია სინამდვილისაგან. უკვე 1927 წლის ზამთრიდან დაწყებული წევრისა გისახავდით და ბევრჯერ განვახორციელოთ პარტიკაში ასეულებისა ჩვენ გისახავდით და ბევრჯერ განვახორციელოთ პარტიკაში ასეულებისა ბრტალითების გამოყოფა ცალკე ერთეულებად დამოუკიდებელი მოქალაქეობისათვის, განაწილებით და ბევრჯერ განვახორციელოთ პარტიზანებისათვის, განაწილებით და იმისათვის, რათა არ მისულ ტაქტიკას მასების მობილიზაციისათვის და იმისათვის, რათა არ მტრისათვის დიდი სამიზნოები, — მაგრამ ყოველთვის მარცხი გვიციადეთ. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზებით: 1) წითელი გვარიდან აღვილობრივი რაზებისაგან განსხვავდით, წითელი არმიის მთავარი ძლები უმთავრესად შედგებიან არა აღვილობრივი მცხოვრებლებისაგან; 2) ნაწილების დაჭულებულების ღრის სუსტდება მათზე ხელმძღვანელობა, ისინი კარგავენ უნარს იპოვონ გამოსავალი არახელსაყრელი მდგომარეობიდან და მარცდებიან; 3) მოწინააღმდეგეს შეუძლია აღვილად გვანაღინდებოდნ და ჩარცდებიან; 4) რაც უფრო არახელსაყრელია ვითარება, ყერის ჩვენ ნაწილ-ნაწილ; 4) რაც უფრო არახელსაყრელია ვითარება, სისი უფრო უცილებელია, რომ ჯარები იყოს თავმოყრილი, რომ ხელმძღვანელება მტკიცებულ იღენენ თავის საბრძოლო პოსტზე, — მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ შინაგან შეცვიდროებას და გავუმკლავდეთ მოწინააღმდეგეს. ძალების გაშლა პარტიზანული მოქმედებისათვის შეიძლება მხოლოდ ხელსაყრელ ვითარებაში, რომლის ღრისაც ხელმძღვანელები ისე შებოჭილნი არ არიან, როგორც არახელსაყრელი ვითარების ღრის, როცა მათ არც ერთი წუთით არ შეუძლიათ ჯარის მიტოვება».

ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებებს შემდეგი ნაკლი ახასიათებს: ყველა წარმოყენებული მტკიცება ჯარების დანაწილების შეუძლებლობის შესახებ ნეგატივურ ხასიათს ატარებს, ხოლო ეს სრულიადაც არაა საკმარისი. აი პოზი-

ტივური მოსაზრება შეიარაღებული ძალების თავმოყრის სასარგებლოდ: მოწინააღმდეგის უფრო დიდი ძალების განადგურება და ქალაქების დაპყრობა შეიძლება მხოლოდ ჯარების თავმოყრით. მოწინააღმდეგის მხოლოდ უფრო დიდი ძალების განადგურებით და ქალაქების დაპყრობით შეიძლება ავაჯანყოთ ხალხის ფართო შასები და შევქმნათ ხელისუფლების ორგანოები ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს რამდენიმე მაზრას. მხოლოდ ამნაირად შეიძლება ვიმოქმედოთ მთელი ხალხის შეგნებასა და გრძნობაზე (სწორედ ამას უწოდებენ პოლიტიკური გავლენის გაფართოებას) და მივაღწიოთ პრაქტიკულ შედეგებს რევოლუციის აღმავლობის დაჩქარების აზრით. შეიარაღებულ ძალთა თავმოყრის პოლიტიკის შედეგს წარჩოადგენს, მაგალითად, ჩვენს მიერ ხელისუფლების ჩამოყალიბება ხუნანისა და ძიანის პროვინციების საზღვრების რაიონში 1928 წელს ან ფუძიანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში 1929 წელს⁹. ასეთია ზოგადი პრინციპები. მაგრამ არის თუ არა ისეთი შემთხვევები, როცა აუცილებელია ჯარების ნაწილ-ნაწილ განლაგება? დიახ, არის. საფრონტო კომიტეტის მიერ ცენტრალური კომიტეტისადმი მიწერილი წერილის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია წითელი არმიის პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკაზე, შეიცავს მითითებას, რომ დასაშეგებია ჯარების ნაწილ-ნაწილ განლაგება ბაზიდან მცირე მანძილის დაშორებით.

«ტაქტიკა, რომელიც გამომუშვებულია ჩვენს მიერ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე წარმოებულ ბრძოლაში, ნამდეილად განსხვავდება ყველა დროისა და ყველა ხალხის ტაქტიკისგან. ჩვენი ტაქტიკის გამოყენებისას მასების ბრძოლის გაქანება დლითიდლე იზრდება, და ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგებაც არ ძალუს გავვიმკლავდეს. ჩვენი ტაქტიკა — პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა. ძირითადად ის შემდეგში გამოიხატება: «გავ-შალოთ ჯარები, რათა დაერაზმოთ მასები, და თავი მოვუყაროთ ჯარებს, რათა დავამარცხოთ მოწინააღმდეგე»; «მტერი გვიტეს — ჩვენ უკან ვი-

ხივთ, მტერი შეჩერდა — ჩვენ არ გასვენებთ, მტერი მოიქანცა — ჩვენ უცრუცამო, მტერი უკან იხევს — ჩვენ ვდევნით»; «სტაბილური წართმეული რაიონების შექმნისას 10 გამოვიყენოთ ტალღისებური წინსვლის ტაქტიკა; ძლიერი მოწინააღმდეგის მხრივ დევნის შემთხვევაში აღგილზე ვიტრიალოთ, არ დაგშორდეთ ბაზას»; «უმცირესი ძროის დახარჯვისას საუკეთესო მეთოდების გამოყენებით ავაჯანყოთ უფართოები მასები». ეს ტაქტიკა წააგავს ბაზეს, რომელიც შეიძლება საჭიროების ძროს გავშალოთ და საჭიროების ძროს მოვზიდოთ: გავშალოთ — მასების დასაცარიბად, მოვზიდოთ — მოწინააღმდეგესთან საბრძოლებელი. უკანისენელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ განუხელად ვიყენებდით სწორედ ასეთ ტაქტიკას».

აქ «გაშლა» ნიშნავს ჯარების განლაგებას ბაზიდან მცირე მანძილზე. ასე, მაგალითად, როცა ჩვენ პირველად დავიკავეთ ქ. იუნისინი ხუნან — ძიანის სანაპირო რაიონში, 29-ე და 31-ე პოლკები გაშლილ იქნა იუნისინის მაზრის საზღვრებში; როცა ჩვენ იუნისინი მესამედ დავიკავეთ, 28-ე პოლკი გაგზავნილ იქნა ანფუს მაზრის საზღვარზე, 29-ე პოლკი — ლიანჩუასკენ, 31-ე პოლკი — ძიანის მაზრის საზღვარზე. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ჯარების გაშლა ძიანის პროვინციის სამხრეთ ნაწილის მაზრებში გასული წლის პრილ — მაისში ან ფუძიანის პროვინციის დასავლეთ ნაწილის მაზრებში ივლისში. რაც შეეხება ჯარების გაშლას ბაზიდან შორ მანძილზე, ის შესაძლებელია მხოლოდ ორი პირობით: როცა ვითარება საქმაოდ ხელსაყრელია და როცა მოვგვეპოვება შედარებით მტკიცე ხელმძღვანელი ორგანოები. ჯარების გაშლის მიზანი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ წარმატებით დავიპყროთ მასები, გავაღრმაოთ აგრარული რევოლუცია და შევქმნათ ხელისუფლების ორგანოები, რათა გავაფართოოთ წითელი არმიისა და ადგილობრივ შეიარაღებულ ძალთა რიგები. თუ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია ან თუ ჯარების გაშლას შედეგად მოჰყვება წითელი არმიის დამარცხება და დასუსტება (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1928 წლის აგვისტოში, როცა ხუნან —

ძიანსის სანაპირო რაიონის ჯარების ნაწილი გაგზავნილ იქნა ქ. ჩენჯოუშე იერიშის მისატანად), მაშინ უმჯობესია სრულიად არ მივმართოთ ჯარების გაშლას. ზემოთ აღნიშნული ორი პირობის არსებობისას კი ჯარების გაშლა, ეჭვს გარეშეა, უნდა ჩატარდეს, რამდენადაც ამ შემთხვევაში ეს უფრო ხელსაყრელია, ვიდრე თავმოყრა.

ცენტრალური კომიტეტის თებერვლის წერილი თავისი სულისკვეთებით არასწორი იყო: მან უარყოფითი გავლენა იქნია ამხანაგების ერთ ნაწილშე მე-4 კორპუსის პარტიულ ორგანიზაციაში. გარდა ამისა, იმ დროს ცენტრალური კომიტეტი ერთ-ერთ თავის ცირკულარში აღნიშნავდა, რომ ომმა ჩან კაი-შისა და გუანსის ხროვას შორის შეიძლება არც კი იფეთქოს. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი შეთარების და მისი მითითებები ძირითადად სწორი იყო. ვიღა შევებული იყო აღნიშნულ ცირკულარში, ცენტრალური კომიტეტის შექმნილ იქნა მეორე ცირკულარი, რომელიც პირველის შესწორებას შეიცავდა. და თუმცა წერი-მიუხედავდ ამისა, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო მითითებებში უკვე აღარ იყო პესიმისტური ტონი, ხოლო მისი თითოებაში შითელი არმიის მოქმედების საკითხში ემთხვევოდა ჩვენს თვალსაზრისს. მაინც უარყოფითი გავლენა, რომელიც მოახდინა ცენტრალური კომიტეტის წერილმა ზოგიერთ ამხანაგზე, არ წაშლილია. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ახლაც არსებობს ამ საკითხის განმარტების საჭიროება.

1929 წლის პრილში საფრონტო კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა ძიანსის პროვინციის ერთი წლის განმავლობაში დაპყრობის გეგმა. ამ საბაზით ბოლო დროს იუიდუში მიიღეს გადაწყვეტილება. არგუმენტები, რომლებიც მაშინ იქნა წამოყენებული, გადმოცემული იყო

ცენტრალური კომიტეტის მისამართით გაგზავნილ შემდეგ წერილში:

«ჩან კაი-შისა და გუანსის ხროვის ჯარები ერთმანეთს უახლოვდებიან მიერთანის რაიონში; ყოველ წუთს მოსალოდნელია გაჩაღდეს დიდი ბერძოლა. ხალხის მასების ბრძოლის განახლების შედეგად, რაც შეხამებულია გაბატონებული რეაქციული ბანაკის შიგნით წინააღმდეგობათა სრდასთან, მალე უნდა დაწყოს რევოლუციის აღმავლობა. ასეთ ვითარებაში გეგმების დასახელის ჩენ ვემყარებით იმას, რომ სამხრეთის პროინციებიდან ორ პროვინციაში — გუანდუმსა და ხუნანში — ძლიერ დიდია კომპრადორებისა და მემამულების შეიარაღებული ძალები, ამასთან ხუნანის პროვინციაში პარტიის მიერ დაშვებული პუტინისტური შეცდომების გამო მისი კადრები განადგურებულია და მინ თითქმის დაკარგა თავისი მასობრივი ბაზა. სხვაგარი ვითარება შეიქმნა ფუძიანის, ძიანსის და ჩედიანის პროვინციებში. ჯერ ერთი, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები, ამ სამ პროვინციაში მეტისმეტად სუსტია. ჩედიანის პროინციაში არის მხოლოდ ძაბან ბო-ჩენის 11 მცირერიცხვიანი პროვინციული საგარნიზონო ჯარები. თუმცა ფუძიანის პროვინციაში არის 5 შენაურთი, რომელიც 14 ბოლგი ითვლის, მაგრამ გო ფინ-მინის 12 ბრიგადა უკვე განადგურებულა; ჩენ გო-ხუეის და ლუ სინ-მინის 13 ნაწილები სინდიტებისაგან შედგება, და მათი ბრძოლისუნარიანობა ძლიერ დაბალია; საზღვაო ქვეითი ჯარის ორ ბრიგადას, რომელიც ზღვის ნაპირას დგას, იმში არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა, და მათი ბრძოლისუნარიანობა, უთოლო, დაბალია; შედარებით ბრძოლისუნარიანია მხოლოდ ჩან ჩენის 14 ჯარები, მაგრამ, პარტიის ფუძიანის პროვინციული კომიტეტის ცნობებით, ჩან ჩენის მხოლოდ ორი პოლკია შედარებით მაღალ ბრძოლისუნარიანი. ამასთან ფუძიანის პროვინციაში ამჟამად მეფობს სტული ქაისი, არ არის ერთანობა. ძიანსის პროვინციაში მყოფ ჩუ ბეი-დესა 15 და სიურ ში-ხუეის 16 ჯარებში ითვლება სულ 16 პოლკი. მათი ძალები აღმატება ფუძიანისა და ჩედიანის პროვინციების სამხედრო ძალებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოუგარდება ხუნანის პროვინციაში არსებულ ძალებს. მეორეც, ამ სამ პროვინციაში შედარებით ნაკლები პუტინისტური შეცდომები იყო დაშვებული. არას ვამბობთ რა ჩედიანის პროვინციაზე, რომლის ეითარება ჩვენთვის სავსებით ნათელი არ არის, აღვნიშნავთ, რომ პარტიული ორგანიზაციები და მათი მასობრივი ბაზა ძიანსის და ფუძიანის პროვინციებში რამდენიმედ უფრო მტკიცეა, ვიდრე ხუნანის პროვინციაში. რაც შეეხება ძიანსის ბროვინციას, აქ მის ჩრდილო ნაწილში — ლუენის, სიუშუისა და ტუნგუს მაზრებში — არსებობს ერთგვარი მასობრენის, სიუშუისა და ტუნგუს მაზრებში — არსებობს ერთგვარი მასობრენის, ჩინი ბაზა. ამ პროვინციის დასავლეთ ნაწილში — ნინგანის, იუნსინის,

ლიანხუას და სუიჩუანის მაზრებში — პარტიისა და წითელი გვარდიის რაზმების ძალები კვლავნიდებურად არსებობენ; ძანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩვენი პერსპექტივები კიდევ უკეთესია: წითელი არმიის მე-2 და მე-4 პოლკების ძალები ძანის, იუნინის და სინგოს მაზრებში დღითიდლე იზრდებიან; წითელი არმიის ფან ჩი-მინის ნაწილები სრულებითაც არ არის განადგურებული. ამგვარად, იქმნება ჭინაპირობები ნანჩინის გარემოცვისათვის.

ჩვენ შემოგვაწვს ცენტრალურ კომიტეტში შემდეგი წინადადება: გომინდანულ მილიტარისტებს შორის ხანგრძლივი ომის დროს ჩვენ გავაჩაღებთ ბრძოლას ჩან კაი-შისა და გუანის ხროვასთან მთლიანად ძანისის პროვინციის და ფუძიანის და ჩემინის პროვინციების დასავლეთ ნაწილების დაპყრობისათვის, გავადიდებთ წითელი არმიის ნაწილების რაოდენობას ამ სამ პროვინციაში, შეექმნით აქ რევოლუციურ ბაზას და გავამაგრებთ მას მოსახლეობის ძალებით. ვადა ამ გეგმის შესრულებისა — ერთი წელი.

ძანსის პროვინციის აღების ზემოთ გაღმოცემულ გეგმიში სწორი არაა ამ გეგმის შესასრულებლად ერთი წლის ვადის დაწესება. რაც შეეხება ძანსის პროვინციის აღების შესაძლებლობას, ამ წერილში ჩვენ ასეთ შესაძლებლობას, გარდა თვით პროვინციაში შექმნილი ვითარებისა, განვაპირობებდით აგრეთვე მთელ ჩინეთში რევოლუციის აღმაღლობის მაღალ დაწყებით; იმის აღმენის გარეშე, რომ რევოლუციის აღმავლობა მაღალ დაიწყებოდა, ხომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მივსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო ძანსის პროვინციის ერთი წლის განმავლობაში დაპყრობა. ჩვენი წინადადების ნაჯლი იმაში მდგომარეობს, რომ საჭირო არ იყო ერთწლიანი გადის დაწესება — შეუძლებელია ამას მოუთმენლობის ერთგვარი ელფერი არ მიეცა სიტყვებისათვის — «მაღალ უნდა», — რომლებიც ნახმარი იყო გამოთქმაში — «მიღე უნდა დაიწყოს რევოლუციის აღმავლობა».

რაც შეეხება ძანსის პროვინციაში არსებულ სუბიექტურ და ობიექტურ პირობებს, ისინი სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ. გარდა სუბიექტური პირობებისა, ჩაზღადაც

ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში, აქ გვაქვს ობიექტური პირობები, რომელთაგან შემდეგი სამი პირობის აღნიშვნა: 1) ძანსის პროვინციის ეკონომიკა ძირითადად არის ფეოდალური, საკურო კაპიტალის გავლენა აქ შედარებით მცირება, ხოლო შემამულეთა შეიარაღებული ძალები ძანსში უფრო სუსტია, ვიდრე სამხრეთის ყოველ სხვა პროვინციაში; 2) ძანსის პროვინციას არ ჰყავს თავისი პროვინციული ჯარი და შედამ დაცული იყო სხვა პროვინციების ჯარებით; სხვა პროვინციების ჯარები კი, რომლებიც გადმოსროლილია «კომუნისტების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის», «ბანდიტების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის», ადგილობრივ პირობებს არ იცნობენ და სრულიადაც არ არიან ამ ოპერაციებით ისე დაინტერესებული, როგორც თავის პროვინციებში მოქმედი ჯარები, — ისინი ხშირად არ ამჟღავნებენ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს; 3) იმპერიალიზმის გავლენა აქ უფრო სუსტია, ვიდრე გონიონგის მეზობლად მდებარე გუანდუნის პროვინციაში, სადაც თითქმის მთელ ცხოვრებას კონტროლს უწევს ინგლისი.

ამ სამი გარეზოების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ექსნათ, თუ რატომაა, რომ გლეხთა აჯანყებები ძანსის პროვინციაში ატარებენ უფრო საყოველთაო ხასიათს, ვიდრე ყოველ სხვა პროვინციაში, ხოლო წითელი არმიის ნაწილები და პარტიზანული ჯარები აქ უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე საღმე სხვაგან.

ბევრ ამხანაგს აღელვებს საკითხი, თუ სახელითო როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები — «მაღალ უნდა» — ფორმულაში — «მაღალ უნდა დაიწყოს რევოლუციის აღმავლობა». მარქსისტები მისნები როდი არიან: რაცა ლაპარაკია მომავალ განვითარებასა და ცვლილებებზე, მათ შეუძლიათ და უნდა უჩვენონ მხოლოდ საერთო მიმართულება, მაგრამ არ შეუძლიათ და არც უნდა განსაზღვრონ მექანიკურად

დღეები და სათები. მაგრამ ჩემი ფორმულირება: «ჩინეთში მალე უნდა დაიწყოს რევოლუციის აღმავლობა» სრულიადაც არ წარმოადგენს ცარიელ ფრაზას, მსგავსად ზოგიერთ სხვა პირთა ფორმულირებისა — «არსებობს რევოლუციური აღმავლობის დაწყების შესაძლებლობა», რომელიც სრულიად არ გამოხატავს მისწრაფებას მოქმედებისაკენ და რევოლუციის აღმავლობა წარმოდგენილი აქვს როგორც რაღაც მოჩვენებითი და შიულშეველი.

რევოლუციის აღმავლობა მცურავ ხომალდს წააგავს, რომლის ანების წვეროები უკვე მოჩანან შორეულ პორიზონტზე; ის წააგავს მზის დისკოს, რომლის მოელვარე სხივები უკვე ამოდიან და ანათებენ წყვდიადს აღმოსავლეთში, და რომლებიც უკვე მოჩანან მაღალი მთის მწვერვალიდან; ის წააგავს ჩვილს, რომელიც უკვე ფართხალებს დედის მუცელში და მალე მოევლინება ქვეყანას.

მანიშვნები

1 ამ. ფან ჩი-მინი, ძიანის პროვინციის იანის მაზრის მკვიდრი, — ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-6 მოწვევის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ძიანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში წითელი რაიონის დამარსებელი და წითელი არმიის მე-10 კორპუსის შემქმნელი. 1934 წელს წითელი არმიის მეწინავე ნაწილები წაიყვანა ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1935 წლის იანვარში ტყვედ ჩავარდა გომინდანის კონტრევოლუციურ ჯარებთან ბრძოლაში. იმავე წლის ივნისში დაიღუპა გმინდანელებმა იგი სიკვდილით დასაჯეს ნაწილში.

2 «რევოლუციის სუბიექტურ ძალებათ» მათ ძე-დუნი ამ შემთხვევაში გულისხმობს რევოლუციის ორგანიზებულ ძალებს.

3 ლუ ლი-პინი — გომინდანელი მილიტარისტი, ხუნანის პროვინციის გუბერნატორი 1928 წელს.

4 მხედველობაშია ხუნანისა და ძიანის პროვინციების გომინდანელ მილიტარისტთა რიგით მესამე შეტევა ძინგანშენზე — წითელი არმიას ბაზაზე — 1928 წლის დამლევს და 1929 წლის დამდევს.

5 მხედველობაშია ომი, რომელიც წარმოებდა 1929 წლის მარტსა და აპრილში გომინდანელ მილიტარისტებს შორის — ჩან კაი-შის ნაწილის ხროვასა და ლი ძუნ-ქენისა და ბაი ჩუნ-სის გუანისის ხროვას შორის.

6 ც. კ.-ის თებერვლის წერილი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 9 თებერვლის წერილი პარტიის საფრინტო კომიტეტისაღმი. ამ სტატაში ციტირებული ამონაშერი წერილიდან, რომელიც საფრინტო კომიტეტმა მისწერა ცენტრალურ კომიტეტს 1929 წლის 5 აპრილს, ზოგადად გადმოსცემს ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული წერილის შინაგარს, უმთავრესად მაშინდელი გთავავის შეფასების და წითელი არმიის მოქმედების ტაქტიკის საჭირებზე. ცენტრალური კომიტეტის შეხედულება, რომელიც გაღმოცემულია ამ წერილში, სწორი არ იყო, და ამიტომ საფრინტო კომიტეტის წერილში ცენტრალური კომიტეტისაღმი წამოყენებულია სხვაგვარი თვალსაზრისი.

7 მხედველობაშია ჯალათური მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ ცენტრალევოლუციური ხელისუფალი ხალხის რევოლუციური ძალების ჩასახმავად.

8 მხედველობაშია ჩინეთის კომუნისტური პარტიის VI სრულიად ჩინეთის ყრილობა, რომელიც შედგა 1928 წლის ივნისში. ყრილობაში აღნიშნა, რომ 1927 წელს რევოლუციის დამარცხების შემდევ ჩინეთის რევოლუცია კალავინდებურად ჩჩება თვისი ხასიათთ ანტიიმპერიალისტურ და ანტიფეოდალურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციად, და მიუთითა რევოლუციის ახალი აღმარცხების გარღვევალობაზე; მაგრამ, რამდენადაც რევოლუციის ეს ახალი აღმარცხებია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, პარტიის გენერალურ ხაზს იმ დროს წარმატებული მასებისათვის ბრძოლა. VI ყრილობაში ბოლო მოუღო ჩენ დუ-სიუს მემარჯვენე ოპორტუნისტულ კაპიტულანტობას, რომელსაც აღიარი პეკინდა 1927 წელს, და გააკრიტიკა მომემარცხენო პუტინშიმი, რომელიც 1927 წლის რევოლუციის დამარცხების შემდევ გამოვლინდა პარტიაში 1927 წლის დამლევს და 1928 წლის დამდევს. ის. მესამე ნაწილი «რეზოლუციისა ჩვენი პარტიის

ისტორიის ზოგიერთ საკითხზე», რომელიც ერთვის ამ გამოცემის მე-სამე ტომს.

- 9 1929 წელს წითელმა არმიამ გაიღაშქრა ძინგანშანიდან ფუძიანის პროვინციაში, საღაც შექმნა ახალი რევოლუციური ბაზა, დაარსა რა სახალხო-რევოლუციური ხელისუფლება ლუნიანის, იუნდიშის და შანხანის მაზრებში ფუძიანის დასავლეთ ნაწილში.
- 10 «წართმეული რაიონების» სახით მხედველობაშია წითელი არმიის მიერ შექმნილი შედარებით სტაბილური რევოლუციური ბაზები.
- 11 მან ბო-ჩენი — «სიმშვიდის დაცვის» გომინდანური ჯარების მაშინ-დელი სარდალი ჩემიანის პროვინციაში.
- 12 მხედველობაშია გომინდანური ჯარების ბრიგადა, რომელიც ფუძია-ნის პროვინციაში იმყოფებოდა.
- 13 ცონბილი ბანლიტები ფუძიანის პროვინციაში, რომელთა რაზები გარდაიქმნა გომინდანურ ნაწილებად.
- 14 ჩან ჩენი — გომინდანური ჯარების დივიზიის სარდალი.
- 15 ჩუ პეი-დე — გომინდანელი მილიტარისტი, ძიანსის პროვინციის მა-შინდელი გუბერნატორი.
- 16 სიუნ ში-ხუეი — იმ დროს გომინდანური ჯარების ძიანსის პროვინ-ციაში მყოფი დივიზიის სარდალი.

ყურადღება

სახეურნეო მუშაობას *

(1933 წლის 20 აგვისტო)

* ამხანაგ მათ ძე-დუნის სიტყვა 1933 წლის აგვისტოში სამეურნეო მშენებლობის შესახებ ძიანსის პროვინციის სამსახურეთ ნაწილის 17 ჩაზრდის წარმომადგენლებთან გამარ-თულ თათბირზე.